

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის  
ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

2011 წლის 25 თებერვალი

ორიგინალი: ინგლისური

რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი

ხელშემკვრელი მხარეების მიერ წარდგენილი ანგარიშები  
კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად

მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშის წარდგენის ვადა 2008 წელი\*

საქართველო\*\*

[31 მაისი 2011]

\* აღნიშნული ანგარიში მოიცავს საქართველოს მეოთხე და მეხუთე კომბინირებულ პერიოდულ მოხსენებას, რომელიც უნდა წარდგენილიყო 2006 წლის 2 ივლისს და 2008 წელს. მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშებისათვის, ასევე კომიტეტის იმ შეხვედრის მოკლე ჩანაწერისათვის, სადაც ეს ანგარიშები იქნა განხილული, იხილეთ დოკუმენტი: CERD/C/461/Add.1 და CERD/C/SR.1705 და 1706.

\*\* ანგარიშების შემუშავებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელი მხარისათვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის ფორმალური რედაქტირება არ მომხდარა გაეროს თარჯიმანთა ბიუროში მის გადაგზავნამდე.

# სარჩევი

	<i>პარაგრაფ.</i>	<i>გვ.</i>
შესავალი . . . . .	1	4
I. ზოგადი ინფორმაცია . . . . .	2-13	4
ა. საერთაშორისო სამართლის სტატუსი და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტები . . . . .	3-4	4
ბ. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები . . . . .	5	5
გ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა სპეციალიზირებული ორგანოები. . .	6-11	5
დ. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა . . . . .	12	8
II. 2005 წელს კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებში (CERD/C/GEO/CO/3) აღნიშნული საკითხები . . . . .	14-67	9
ა. მე-2 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	13	9
მე-10 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	14	9
ბ. მე-4 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	15	10
მე-11 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	15-19	10
გ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	20	12
მე-12 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	21-24	12
დ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	25	16
მე-13 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	26-32	16
ე. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	33	20
მე-14 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	34-38	20
ვ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	39	22
მე-15 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	40-45	22
ზ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	46	23

მე-16 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	47-48	24
თ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	49	25
მე-17 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	50-54	26
ი. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	55	28
მე-18 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	56-58	28
კ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	59	29
მე-19 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	60-61	30
ლ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	62	30
მე-20 პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	63-67	31
მ. მე-6 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები . . .	68	33
21-ე პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	69-71	33
ნ. მე-6-7 მუხლებთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები .	72	34
22-ე პარაგრაფში აღნიშნულ საკითხებზე პასუხი . . . . .	73-78	34
<b>III. ინფორმაცია კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ</b>		37
ა. მე-2 მუხლი . . . . .	79	37
ბ. მე-3 მუხლი . . . . .	80	37
გ. მე-4 მუხლი . . . . .	81-82	38
დ. მე-5 მუხლი . . . . .	83-90	38
ე. მე-6 მუხლი . . . . .	91-93	43
ვ. მე- 7 მუხლი . . . . .	94-101	43
ზ. 22-ე მუხლი . . . . .	102	47

## შეჯამება

1. აღნიშნული ანგარიში არის საქართველოს მთავრობის მეოთხე და მესამე კომბინირებული ანგარიში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის საერთაშორისო კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილია კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად. ანგარიში მომზადებული იქნა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის მიერ მიღებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით (CERD/C/2007/1), რომელიც შეეხება სახელმწიფოთა მიერ კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კონვენციის შესაბამისად წარსადგენი დოკუმენტების მომზადებას. ანგარიში შეიცავს ინფორმაციას საქართველოს მიერ წინა ანგარიშების წარდგენის შემდეგ, კონვენციის დებულებების აღსრულების მიზნით, საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების განხორციელების შესახებ. კერძოდ, ანგარიშში განხილულია ის საკითხები, რომელიც აისახა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებში (CERD/C/GEO/CO/3).

## I. ზოგადი ინფორმაცია

2. საქართველო ეთნიკურად, კულტურულად, ენობრივად და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა, სადაც ეროვნული უმცირესობების განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო მთავრობის მხრიდან. კონსტიტუციაში გარანტირებულია იმ პირთა უფლებები, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და აკრძალულია დისკრიმინაცია, მათ შორის ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოში ყველა ეთნიკური უმცირესობის სრული ინტეგრაცია წარმოადგენს ამჟამინდელი მთავრობის მუდმივ ამოცანას.

## ა. საერთაშორისო სამართლის სტატუსი და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტები

3. საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 19.1), საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება სარგებლობს უპირატესობით ყველა ნორმატიულ აქტთან მიმართებით გარდა კონსტიტუციისა (ან კონსტიტუციური კანონისა) და კონსტიტუციური შეთანხმებისა. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 (2) მუხლისა და „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საერთაშორისო ხელშეკრულებების თვითაღსრულებადი დებულებები პირდაპირ მოქმედებს საქართველოში და არ საჭიროებენ შესაბამისი ეროვნული ნორმატიული აქტის მიღებას.

4. თანასწორობის პრინციპი უზრუნველყოფილია რამოდენიმე ეროვნული საკანონმდებლო აქტის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში – „სსკ“); საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (შემდგომში - „სსსკ“); საქართველოს სამოქალაქო კოდექსით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. ქვემოთ მოცემული ნუსხა მოიცავს სხვა კანონებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას სხვადასხვა საფუძველით: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი; შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი; შრომის კოდექსი; მაუწყებლობის შესახებ კანონი; ზოგადი განათლების შესახებ კანონი; უმაღლესი განათლების შესახებ კანონი; პაციენტის უფლებების შესახებ კანონი; ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი; კულტურის შესახებ კანონი; არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონი; ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ კანონი; ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი; ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონი; ადვოკატთა შესახებ კანონი; საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი; საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი.

## **ბ. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები**

5. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის ძირითადი პრინციპები ინკორპორირებულია საქართველოს კანონმდებლობაში. საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული უმცირესობის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით, რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, კერძოდ, უნივერსალური ხელშეკრულებები, როგორცაა: გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დამატებითი ოქმი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ; კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ; კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ; საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ; კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ; კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ; ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია; ასევე რეგიონალური შეთანხმებები, როგორცაა: ევროპის კულტურული კონვენცია; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი მე-4, მე-6, მე-7 და მე-12 დამატებითი ოქმები; წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია და მისი I და II დამატებითი ოქმები; ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია.

## **ბ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა სპეციალიზირებული ორბანოები**

6. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2008

წლის 8 თებერვლის №23 დადგენილებით. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაცია, ასევე ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის და მათი შთამომავლების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობა. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, ხელისუფლების სხვადასხვა უწყების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის მაისში მიღებული შემწეობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ზედამხედველობა. ამ მიზნით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის №13 ბრძანებით 2009 წლის 3 ივლისს უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა. კომისია აერთიანებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლების, ასევე შესაბამის საჯარო მოხელეებსა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

**7. საქართველოს პარლამენტი.** საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, 1995 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტი, როგორც მუდმივი ორგანო. 2004 წელს, კომიტეტის საქმიანობის სფერო გაფართოვდა და მოიცვა სამოქალაქო ინტეგრაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტს სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. კომიტეტი მუშაობას ახორციელებს ორი ძირითადი მიმართულებით: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია. კომიტეტი მიზნად ისახავს ახალი ნორმატიული აქტების შემუშავებას, არსებულის განვითარებასა და მათი იმპლემენტაციაზე ზედამხედველობას. კომიტეტის მიზანია ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, ასევე ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება. კომიტეტი თანამშრომლობს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში.

**8. შემწეობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო.** 2005 წლის 13 ოქტომბერს, საქართველომ მოახდინა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და მთავრობამ გააძლიერა მისი საქმიანობა სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისი მიმართულებით. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №348 განკარგულების შესაბამისად, შეიქმნა შემწეობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო. იგი შედგება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, სახალხო დამცველის აპარატის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისაგან. საბჭოს დაეკისრა შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) შეაგროვოს, გააანალიზოს და შეაჯეროს საქართველოში შემწეობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში არსებული საერთაშორისო, სამთავრობო, საზოგადოებრივი და აკადემიური გამოცდილება, პროგრამები და ინიციატივები, კვლევები და მოსაზრებები;

ბ) უზრუნველყოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე ფართო ეროვნული კონსენსუსის მიღწევა მის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული პირის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფისა და პოლიტიკურ, სოციალურ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებთან დიალოგის გამართვის გზით;

გ) შეიმუშაოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შექმნაში სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმი;

დ) შეიმუშაოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პოლიტიკური, ფინანსური, ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ექსპერტული რესურსებით უზრუნველყოფის სქემები;

ე) გააანალიზოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და შეიმუშაოს საკანონმდებლო ცვლილებების კომპლექსური პროგრამა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

ვ) შეიმუშაოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მონიტორინგისა და ცვალებად გარემოზე ადეკვატური რეაგირების მექანიზმები.

საბჭომ შეიმუშავა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის მაისში.

**9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სახალხო დამცველის ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციითა (მუხლი 43-ე) და სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით (რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 16 მაისს). სახალხო დამცველი ასორციელებს მონიტორინგს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე, როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით; იღებს გადაწყვეტილებას ფაქტების განხილვის შემდეგ (მე-12, მე-16 მუხლები). დადასტურებული მტკიცებულების საფუძველზე, დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, სახალხო დამცველი შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ ორგანოების და/ან სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი უწყებებების მიმართ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

სახალხო დამცველის აპარატთან, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ფუნქციონირებს ტოლერანტობის ცენტრი. ტოლერანტობის ცენტრი კოორდინაციას უწევს ორ საბჭოს: ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს და რელიგიათა საბჭოს.

10. ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო შეიქმნა 2005 წელს უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მხარდაჭერით.<sup>1</sup> ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო მოიცავს რვა უმცირესობათა ორგანიზაციას და მისი ძირითადი ფუნქციაა იმოქმედოს როგორც ეროვნულ უმცირესობებსა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის მიმდინარე

<sup>1</sup> უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის შტატ შლეზვიგ-გოლშტეინის მთავრობების მიერ. საქართველში ცენტრის ადგილობრივი ოფისი დაარსდა 2006 წელს.

დიალოგისა და კონსულტაციის პლატფორმა. საბჭოს მიზანია ასევე, ქვეყნის პოლიტიკის ფორმირების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობისა და ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავების გზით ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის გაუმჯობესება და ხელშეწყობა. იგი ასევე უფლებამოსილია რეაგირება მოახდინოს, თუ უმცირესობათა უფლებები დაირღვა ან/და კონფლიქტი წარმოიშვა და ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობებს თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში.

11. რელიგიათა საბჭო დაარსდა 2005 წელს მემორანდუმის საფუძველზე, რომელიც დაიდო სახალხო დამცველსა და სხვადასხვა კონფესიას შორის, რომელშიც ნებაყოფლობით არიან გაწევრიანებული რელიგიური გაერთიანებები. რელიგიათა საბჭოს მთავარი ამოცანაა ტოლერანტული, სამართლიანი, თანასწორუფლებიანი, მშვიდობიანი გარემოს შექმნა და საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებისა და კონფესიების სამოქალაქო ინტეგრაცია. ამ მიზნით, საბჭო, მრავალმხრივი დიალოგის მეშვეობით, უზრუნველყოფს რელიგიური ასოციაციების მზარდ მონაწილეობას სოციალურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამჟამად რელიგიათა საბჭოს წევრია 23 კონფესია და ორგანიზაცია.

## **დ. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა**

12. 2005 წელს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს მთავრობა შეუდგა სამოქალაქო ინტეგრაციისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში ყოველსიმომცველი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, 2009 წლის მაისში, საქართველოს მთავრობამ მიიღო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს ექვს ძირითად მიმართულებას: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ჰქონდა საშუალება წარმოედგინა თავისი მოსაზრებები და წინადადებები შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭოს ფარგლებში განსახილველად. ხელმოწერილ იქნა თანამშრომლობის მემორანდუმი შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ საბჭოსა და სახალხო დამცველის აპარატს/ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს შორის. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ხელი მოეწერება თანამშრომლობის მემორანდუმს სახალხო დამცველის აპარატს/ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და შესაბამის სამინისტროებს შორის. მემორანდუმების მიზანია შექმნას თანამშრომლობისა და კონსულტაციის სისტემები, ასევე უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა ფართო მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომლებიც მათი კანონიერ ინტერესებზე ახდენს გავლენას. სამოქმედო გეგმის მიზანია რეგიონალური საბჭოების შექმნა ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან. რეგიონალური საბჭოები დაკომპლექტდებიან ადგილობრივი ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და ექნებათ უფლებამოსილება მიიღონ პირველწყაროდან

ინფორმაცია, გააგზავნონ მოსახრებები და კონსულტაცია გასწიონ იმ საკითხებზე ან გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პირველი ანგარიში უკვე გამოქვეყნდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ. ანგარიში მოიცავს 2009 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდს და აღწერს სახელმწიფო უწყებათა საქმიანობას ზემოაღნიშნული ექვსი მიმართულებით.

## **II. 2005 წელს კომიტეტის დასკვნით მოსახრებებში (CERD/C/GEO/CO/3) აღნიშნული საკითხები**

### **ა. მე-2 მუხლიან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

13. კომიტეტი მხედველობაში იღებს “საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის განმტკიცების 2003-2005 წლის სამოქმედო გეგმის” მიღებას, მაგრამ ამავე დროს სინანულს გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ უმცირესობათა უფლებების დასაცავად არ იქნა მიღებული საკანონმდებლო აქტები.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის განმტკიცების 2003-2005 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ და ამასთან მოუწოდებს წევრ სახელმწიფოს მიიღოს კონკრეტული საკანონმდებლო აქტი უმცირესობათა უფლებების დასაცავად.

14. 2003 წლის 4 მარტს საქართველოს პრეზიდენტის №68 ბრძანებულებით მიღებულ იქნა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის განმტკიცების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ უშიშროების საბჭოს მიენიჭა სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე მონიტორინგისა და ზედამხედველობის მანდატი და დაეკისრა სამოქმედო გეგმის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების მომზადების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ ვარდების რევოლუციისა და მის შემდეგ განხორციელებული ინსტიტუციონალური ცვლილებების შედეგად, ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას აღარ განეკუთვნებოდა მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშების მომზადება ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ყოველწლიური ანგარიში არ მომზადებულა. ამავედროულად, მთავრობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საჭირო იყო საკითხის ინსტიტუციონალიზაცია. შესაბამისად, 2005 წლის 8 აგვისტოს შეიქმნა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო, რათა მას აეღო თავის თავზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ხსენებული ფუნქციების შესრულება. საბჭოზე ინფორმაცია მოცემულია ზემოთ, ამ ანგარიშის მე-8 პარაგრაფში.

## ბ. მე-4 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები

15. კომიტეტი მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 142-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დამატებას, რომელიც ეხება რასობრივ დისკრიმინაციას, მაგრამ ამავე დროს კომიტეტი გამოთქვამს სინანულს იმ სისხლის სამართლებრივი ნორმების უკმარისობის გამო, რომლითაც მოხდებოდა კონვენციის მე-4 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტების წევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში განხორციელება.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს XV ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა უზრუნველყოს კონვენციის მე-4 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტების სრული და ადეკვატური განხორციელება შიდა კანონმდებლობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებას: რასობრივ უპირატესობაზე ან სიძულვილზე დაფუძნებული იდეების გავრცელება; რასისტული საქმიანობის ხელშეწყობა, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა; იმ ორგანიზაციებისა და პროპაგანდისტული საქმიანობის არალეგალურად გამოცხადება, რომელიც ხელს უწყობს და აღვივებს რასობრივ დისკრიმინაციას, მათ შორის დასჯად დანაშაულად უნდა გამოცხადდეს აღნიშნულ ორგანიზაციებსა და პროპაგანდისტულ საქმიანობებში მონაწილეობა.

16. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებულია სსკ-ის 142-ე მუხლით. 2003 წლის 6 ივნისს, ახალი 142<sup>1</sup>-ე მუხლი შევიდა ძალაში, რომლის თანახმადაც დანაშაულად გამოცხადდა ყველა ის ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება.

17. კონვენციის მე-4 მუხლი ითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ დაიგმოს ის ორგანიზაციები, რომლებიც დისკრიმინაციას უწყობენ ხელს. ამ კონტექსტში რელევანტურია სსკ-ის 142<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელსაც აქვს ზოგადი მოქმედება და იგი ახდენს რასობრივი დისკრიმინაციის კრიმინალიზაციას ნებისმიერი კერძო ან იურიდიული პირისათვის. იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რელევანტურია შემდეგი სამართლებრივი ნორმები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერ საქმიანობა და შემდგომ აღგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობას არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის ნებისმიერი უკანონო ქმედებისათვის (33-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსი). ამასთან, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლი ეხება სამეწარმეო ორგანიზაციების სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რასაც შედეგად მოსდევს მათი ლიკვიდაცია.

18. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და ეთნიკური ნიადაგი ითვლება დამამძიმებელ გარემოებად ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორცაა: განზრახ მკვლელობა (109-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი), ძალადობა (126-ე მუხლი), მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (258-ე მუხლი), წამება (მუხლი 144<sup>1</sup>) და დამამძიმებელი ან არაადამიანური მოპყრობა (144<sup>3</sup>-ე მუხლი).

*ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნახვენებია განსხვავება სასჯელებს შორის, რომლებიც გათვალისწინებულია დანაშაულისათვის, როგორც ასეთისათვის, და იგივე დანაშაულისათვის, როდესაც იგი მოტივირებულია რასობრივი დისკრიმინაციით.*

<i>დანაშაული</i>	<i>ზოგადი სასჯელი</i>	<i>როცა მოტივირებულია ტენდენციურობით როგორც დამამძიმებელი გარემოება</i>
მკვლელობა	თავისუფლების აღკვეთა 7-დან–15 წლამდე ვადით	თავისუფლების აღკვეთა 13-დან–17 წლამდე ვადით
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	თავისუფლების აღკვეთა 3-დან–5 წლამდე ვადით	თავისუფლების აღკვეთა 7-დან–9 წლამდე ვადით
ძალადობა	თავისუფლების აღკვეთა 1-დან–3 წლამდე ვადით	თავისუფლების აღკვეთა 4-დან–6 წლამდე ვადით
მიცვალებულისადმი უპატივცემულობა	ჯარიმა, ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ან გამასწორებელი სამუშაო, ან თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით	თავისუფლების შეზღუდვა 3 წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით
წამება	ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა 7-დან–10 წლამდე ვადით	თავისუფლების აღკვეთა 9-დან–15 წლამდე ვადით, ან თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 5 წლამდე ვადით
დამამძიმებელი ან არაადამიანური მოპყრობა	ჯარიმა, ან თავისუფლების შეზღუდვა 3 წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთა 2-დან–5 წლამდე ვადით	ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა 4-დან–6 წლამდე ვადით, ან თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 5 წლამდე ვადით

19. 2003 წელს, სსკ-ის ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის მუხლში (408-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დამატებულ იქნა რასიზმისა და შეუწყნარებლობის ელემენტები, რომლებსაც იგი მანამდე არ შეიცავდა.<sup>2</sup> ამასთან, რასობრივი ელემენტი ასევე დაემატა გენოციდის დანაშაულის დეფინიციას.<sup>3</sup>

## **ბ. მმ-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

20. კომიტეტი მიესალმება წევრი სახელმწიფოს მიერ რამდენიმე უმცირესობათა ჯგუფის სიტუაციაზე ინფორმაციის მოწოდებას, მაგრამ ამავე დროს სინანულს გამოთქვამს იმ ინფორმაციის სიმწირის გამო, რომელიც შეეხება გარკვეულ მოწვევად უმცირესობათა ჯგუფებს, განსაკუთრებით ბოშებს, და მათ მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობას.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს, რომ მან შემდგომ პერიოდულ ანგარიშში მოიცვას დეტალური ინფორმაცია ყველა უმცირესობათა ჯგუფის შესახებ, მათ შორის ყველაზე მოწვევადი ჯგუფების, განსაკუთრებით ბოშების შესახებ. აქვე, კომიტეტი წევრი სახელმწიფოს ყურდლებას ამახვილებს XXVII ზოგად რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება ბოშების წინააღმდეგ დისკრიმინაციას.

21. 2008 წლის მეორე ნახევარსა და 2009 წლის დასაწყისში, უმცირესობათა საკითხების ევროპულმა ცენტრმა განახორციელა გამოკითხვა, რათა მიეღო ინფორმაცია ბოშების საცხოვრებელი ადგილების, დემოგრაფიული მონაცემების, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, ასევე სოციალური, ეკონომიკური და სხვა გამოწვევების შესახებ, რომლებსაც აწყდება ბოშათა საზოგადოება.<sup>4</sup> საქართველოში ბოშათა საზოგადოება შეადგენს 1,000 პირს, მათ შორის თბილისში მოლდოვერ დასახლებას და ქუთაისში მცხოვრებ მცირე საზოგადოებას, რომელთაგანაც ყველა ბოშათა ცხოვრების სტილს

---

<sup>2</sup> სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ განსაზღვრულია, როგორც „ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას.“

<sup>3</sup> სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, გენოციდი განსაზღვრულია როგორც „ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში.“

<sup>4</sup> გიორგი სორდია, *გამოსავალი? საქართველოში ბოშათა საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული პირველადი ნაბიჯები*, ECMI Issue Brief No. 21 მაისი 2009, იხ. [http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/brief\\_21\\_eng.pdf](http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/brief_21_eng.pdf).

მისდევს. აღნიშნული ციფრი არ მოიცავს იმ ბოშებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში, საქართველო.<sup>5</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ცხრილი ქვემოთ.

### ინფორმაცია საქართველოში ბოშათა საზოგადოებაზე

	გაჩიანი-გარდაბნის რაიონი	ლენინოვკა- დედოფლისწყაროს რაიონი	ლოლოს დასახლება თბილისთან ახლოს	სამეორის რაიონი - თბილისი	ქუთაისი	ქობულეთი	ბათუმი	თელავი
დასახლება								
ოჯახების რიცხვი	16	11	3	17	6	17	3	3
პირთა რიცხვი	122	73	31	196	45	85	14	24
ზრდასრულთა რიცხვი	45	29	14	138	18	25	5	4
ბავშვების რიცხვი	77	44	17	58	27	60	9	20
დოკუმენტების მქონე ზრდასრულთა რიცხვი	23	29	9	138	18	21	2	0
დოკუმენტების მქონე ბავშვების რიცხვი	29	41	9	58	27	59	0	0
სასკოლო ასაკის ბავშვების რიცხვი	18	16	12	15	10	14	5	15
ბავშვების რიცხვი, რომლებიც სკოლაში დადიან	5	9	0	0	10	3	0	0

შემოსავლის სახე	მათხოვრობა, მცირე ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, მათხოვრობა, მცირე ვაჭრობა	მცირე ვაჭრობა	მცირე ვაჭრობა, მათხოვრობა	მცირე ვაჭრობა, მათხოვრობა	მცირე ვაჭრობა	მცირე ვაჭრობა, მათხოვრობა	მათხოვრობა
--------------------	---------------------------------	--	------------------	---------------------------------	---------------------------------	------------------	---------------------------------	------------

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობა მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს ინფორმაცია ამ მიმართულებით, ვინაიდან მას არ შეუძლია კონტროლის განხორციელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საცხოვრებლის სახე	საკუთარი სახლები	საკუთარი სახლები	დროებითი თავშესაფრები, კარვები	დაქირავებული სახლები / ბინები	საკუთარი სახლები / ბინები	საკუთარი სახლები	დაქირავებული სახლები	დროებითი თავშესაფრები
ელექტროენერგია	დიახ, დაბალი ვოლტაჟი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
წვალგაყვანილობა	არა, გაყვანილობის წყარო და შორებულება 200 მეტრით	არა, სოფელში არანაირი საშუალება არ არის	არა, დასახლებაში არანაირი საშუალება არ არის	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
შტოს აფილირება	ვლახი	ვლახი	ვლახი, კრიმი	კრიმი	კრიმი	კრიმი	კრიმი	კრიმი
კლანთან აფილირება	ბუტკა, პლაშუნი, მელენკი, მანკი, ტემრიუკი	პარბუზი, ნალიჰანი, პალენკი	მეკორია, კალაში	ჩორადაესი, პეტალიდისი, ჯუჯუკეა, ბუბულიადესი	ჩორადაესი, პეტალიდისი, ჯუჯუკეა, ბუბულიადესი	ჩორადაესი, პეტალიდისი, ჯუჯუკეა, ბუბულიადესი	-	-
წარმომავლობა	უკრაინა, რუსეთი	უკრაინა, რუსეთი	უკრაინა, რუსეთი	უკრაინა, რუსეთი	რუსეთი, უკრაინა	რუსეთი	რუსეთი	უკრაინა
რელიგია	მართლმადიდებლური	მართლმადიდებლური	მართლმადიდებლური, მუსულმანიური	მუსულმანიური, მართლმადიდებლური	მართლმადიდებლური, მუსულმანიური	ევანგელისტიური, მართლმადიდებლური მუსულმანიური	მუსულმანიური	მართლმადიდებლური
მშობლიური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა	ბოშური ენა

მეორე ენა	რუსული	რუსული	რუსული, ქართუ- ლი	რუსული, ქართული	რუსული, ქართული	რუსული	რუსული	რუსული
გადაადგი- ლებისა და ვაჭრობის არეალი	გაჩიანი- ლილო- სამგორი- დედოფლის- წყარო	დედოფლის- წყარო- ლილო- გაჩიანი- წყარო	ლილო- სამგორი დედო- ფლის- წყარო	სამგორი- ქუთაისი- თელავი	ქუთაისი- სამგორი- ქობულეთი	ქობულეთი -ბათუმი- ქუთაისი	ბათუმი- ქუთაისი	თელავი- დედოფლის- წყარო

22. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ბოშათა შორის სკოლაში სწავლის რიცხვი ძალიან დაბალია და მხოლოდ ძალიან ცოტა ბავშვია სკოლაში რეგისტრირებული. კვლევის შესაბამისად, ამის ძირითად მიზეზად დასახელებულია მშობელთა ნეგატიური დამოკიდებულება. ზოგიერთმა ბოშა მშობლებმა განაცხადეს, რომ მათ გაგზავნილი ჰყავთ თავიანთი შვილები სავაჭროდ ან სამათხოვროდ, რომელიც წარმოადგენს ოჯახის დამატებითი ან ძირითადი შემოსავლის წყაროს. სხვა შემთხვევებში, მშობლები ირჩევენ თავიანთი შვილები დატოვონ სახლში, რათა ისინი დაკავდნენ საოჯახო საქმიანობით.<sup>6</sup> ამ და სხვა მსგავსი პრობლემების მოგვარების მიზნით, შემუშავებულ იქნა პროგრამა „საზოგადოების ქმედება“, რომელსაც ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბრიტანულ ორგანიზაცია - „ბავშვთა მაღალი დონის ჯგუფთან“ თანამშრომლობით. პროგრამა ხელს უწყობს წრფელი ღირებულებებისა და ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებასა და დაუცველ სტუდენტებში მოტივაციის გაზრდას. პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივი აქტივობები მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ბავშვების, მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების, ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისა და იძულებით გადაადგილებული სტუდენტების, საბჭოთა კავშირის დროს იძულებით გადასახლებული მესხებისა, და უმცირესობათა სტუდენტების ინტეგრაციასა და სოციალიზაციას. პროგრამის ფარგლებში, სკოლებთან თანამშრომლობით, რამოდენიმე ბოშა ბავშვი ჩაირიცხა ზოგად საგანმანათლებლო ინსტიტუტში ქუთაისსა და რუსთავში. ამასთან, ბოშა ბავშვებს მიეცათ საჭირო ტანსაცმელი და მათ მიიღეს დახმარება სკოლაში ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. 2009 წელს, ათი (10) სკოლადამთავრებული ბოშა, სხვა სტუდენტებთან ერთად, ჩაერთო საზოგადოებრივ აქტივობებში.

23. მთავრობა აგვარებს ბოშა მოსახლეობას შორის შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციისა და საცხოვრებლის რეგისტრაციის არ ქონის შემთხვევაში არსებულ პრობლემებს სპეციალური პროექტის მეშვეობით, რომელსაც ახორციელებს

<sup>6</sup> გიორგი სორდია, გამოსავალი? საქართველოში ბოშათა საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული პირველადი ნაბიჯები, ECMI Issue Brief No. 21 მაისი 2009, გვ. 11-12.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ლენინოვკაში, სამგორში, ქუთაისსა და ქობულეთში.<sup>7</sup>

24. ბოშათა თითქმის ყველა დასახლება საქართველოში მდებარეობს ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში, სადაც ბოშებს შეუძლიათ შეინარჩუნონ მუდმივი კავშირები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებულ პირებთან: მაგალითად, ქართველებთან და რუსებთან ლენინოვკაში, აზერბაიჯანელებთან გაჩიანში, ქართველებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან სამგორში და უმეტესად ქართველებთან ქუთაისსა და ქობულეთში. კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ბოშებს არ აქვთ რაიმე პრობლემა ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებულ პირებთან ურთიერთობაში.<sup>8</sup>

## დ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაცია

25. კომიტეტი აღნიშნავს ენების სტატუსის შესახებ საკანონმდებლო ნორმების არარსებობას, უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ ქართული ენის ცოდნის ნაკლებობას და აღნიშნული სიტუაციის გამოსწორებისათვის განხორციელებული ზომების ნაკლებობას. კომიტეტი ასევე აღნიშნავს უმცირესობათა ენების საჯარო ადმინისტრირების პროცესში გამოყენების გაზრდისაკენ გადადგმული ქმედითი ნაბიჯების ნაკლებობას.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს მიიღოს კანონი ენების სტატუსის შესახებ და ასევე გაატაროს ეფექტიანი ზომები, რათა გააუმჯობესოს უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის ქართული ენის ცოდნა. აგრეთვე, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს გაატაროს ქმედითი ზომები საჯარო ადმინისტრირების პროცესში უმცირესობათა ენების გამოყენების გაზრდისათვის.

26. სტუდენტების მიმართ დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის გარდა,<sup>9</sup> განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა გრძელვადიანი სპეციალიზირებული

---

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ ბოშა მოსახლეობის რეგისტრაცია ბოშათა დასახლებებში განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მობილური ჯგუფების მიერ.

<sup>8</sup> გიორგი სორდია, *გამოსავალი? საქართველოში ბოშათა საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული პირველადი ნაბიჯები*, ECMI Issue Brief No. 21 მაისი 2009, გვ. 12.

<sup>9</sup> ზოგადი განათლების შესახებ კანონი, მე-7 მუხლის მიხედვით, ყველას უნდა ჰქონდეს განათლების მიღების უფლება და უფლება აიღიოს განათლების ფორმა. მე-13 მუხლი ამბობს „დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია ... სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწენარებლობსა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ

პროგრამების პრაქტიკა, რომლებიც მიზნად ისახავს შემწეობის პოლიტიკის ხელშეწყობას საგანმანათლებლო სისტემებში.

### სახელმწიფო ენის სწავლება და ინტეგრაცია

27. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების სისტემატიურ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, რათა დაძლეულ იქნას არსებული პრობლემა – უმცირესობათა ჯგუფებში ქართული ენის ცოდნის ნაკლებობა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, სამინისტროს მიერ განათლების ყველა დონეზე (სკოლამდელი, ზოგადი განათლება და მოზრდილი განათლება) ქართული ენის სწავლების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის მრავალი სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა. კერძოდ, 2009 წელს, განათლების და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ქართული ენის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქვეპროგრამის განხორციელებას სახელწოდებით: „სკოლამდელ დონეზე ქართული ენის სწავლებისა და შესწავლის გაძლიერება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში“. ამ ქვეპროგრამის მიზანია, სკოლამდელი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ხარისხიანი ენის პროგრამების მეშვეობით, ბავშვთა შორის ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესება. იგეგმება სკოლამდელი საგანმანათლებლო ცენტრების გახსნა ექვს შერჩეულ ადგილობრივ სკოლაში ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდა, რაც საჭიროა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, ქვეპროგრამა ითვალისწინებს მშობელთა განათლების სახელმძღვანელოს შემუშავებას. ზოგიერთი სხვა განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

(ა) მთელი რიგი სახელმძღვანელოების მომზადება (თავთავი) და ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების/შესწავლის ახალი სტანდარტების განხორციელება ევროპის საბჭოს „ევროული ენის პორტფელითა“ და „ენის სწავლების, შესავლისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩო სახელმძღვანელოთი“ რეკომენდირებული კომპეტენციის დონის შესაბამისად;

(ბ) 2007 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ „ქართული, როგორც მეორე ენის“ პროექტის განხორციელება, ახალი სასწავლო გეგმის შემუშავება ქართულის, როგორც მეორე ენისათვის;

(გ) 2008 წელს „უმცირესობათა სკოლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და შესწავლის“ პროგრამის განხორციელება, ყველა მეორე კლასის ეთნიკური უმცირესობის მოსწავლისათვის „მოდით, ვისწავლოთ ქართულის“ სახელმძღვანელოს მიღების შესაძლებლობა;

---

უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.“

(დ) 2007 წელს ახალქალაქსა და ნინოწმინდაში (ადგილები, რომლებიც მჭიდროდ არის დასახლებული სომხებით) „ენის სახლების“ დაარსება. ცენტრები სთავაზობს ქართული ენის კურსებს საჯარო მოხელეებს, მასწავლებლებს, სამხედრო პირებს, სოციალურ მუშაკებსა და სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს. მხოლოდ 2008 წელს, ცენტრები მოემსახურა 682 პირს. ამასთან, 2009 წელს მსგავსი „ენის სახლები“ შეიქმნა დმანისისა და ბოლნისის რაიონებში (ადგილები, რომლებიც მჭიდროდ არის დასახლებული აზერბაიჯანელებით). მისი გახსნის დღიდან, ენის სახლებმა მომსახურება გაუწიეს 100 პირს. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სთავაზობს სპეციალურ ენის კურსებს უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებიც რეგიონში საჯარო მოსამსახურეებად მუშაობენ. 2006-2008 წლებში, სკოლაში სწავლობდა 133 აზერბაიჯანელი და 124 სომეხი სტუდენტი.

28. ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია უმცირესობათა სკოლებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით, როგორცაა: „კვალიფიცირებული ქართული სკოლის მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში“, „უმცირესობათა სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა“, „მოდით, ვისწავლოთ ქართული“ და „ასწავლე საქართველოსათვის“. გარდა ამისა, ეუთოსა და ეუთოს უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მხარდაჭერით, შემუშავდა კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა: „მულტილინგუური განათლების მეშვეობით ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია“. სამინისტრომ 40 არაქართულ საჯარო სკოლაში განახორციელა მულტილინგუური განათლების პროგრამის პილოტირება.

**უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა**

29. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა სპეციალური პროგრამები, რომელთა მიზანია უმცირესობათა სტუდენტების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის ხელშეწყობა. მისაღები გამოცდებისათვის არაქართულენოვანი სტუდენტების მოსამზადებლად, ასევე ენისა და ზოგადი უნარების ტესტებში მათი დონის გაუმჯობესებისათვის, 2008 წელს შემუშავდა მოსამზადებელი კურსი ქართულ ენასა და ზოგად უნარებში. თუმცა, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო, განმცხადებლებს ამაჟამად შეუძლიათ მისაღები გამოცდები ჩააბარონ მათ მშობლიურ ენაზე. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილი ცხადყოფს, ყველა ამ ნაბიჯმა დადებითი გავლენა იქონია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობაზე.

<i>უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა</i>					
<i>რეგისტრირებული</i>		<i>ჩარიცხული</i>		<i>სახელმწიფო სტიპენდია</i>	
<i>2007</i>	<i>2008</i>	<i>2007</i>	<i>2008</i>	<i>2007</i>	<i>2008</i>

სამცხე-ჯავახეთი	1 069	572	213	443	116	136
ქვემო ქართლი	2 636	1 554	855	1 008	458	553

30. უკანასკნელ პერიოდში უმაღლესი განათლების კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, დაწესდა პოზიტიური კვოტა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებიც იღებენ სტუდენტებს აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტების საფუძველზე. ინსტიტუტები ვალდებული არიან გამოაცხადონ მინიმალური კვოტა ეროვნული უმცირესობებისათვის, რომელიც შეადგენს მთლიანად შეთავაზებული ადგილების 5%-ს სომხებისათვის, 5%-ს აზერბაიჯანელებისათვის, 1%-ს ოსებისათვის და 1%-ს აფხაზებისათვის.

### უმცირესობათა ენების გამოყენება

31. ქართულის, როგორც მეორე ენის ხელშეწყობის გარდა, ხელისუფლება ახორციელებს ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის გაძლიერების პოლიტიკას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოების თარგმნასა და მასწავლებლების უნარ-ჩვევების განვითარებას. 2,300 ზოგად საგანმანათლებლო ინსტიტუტს შორის არის 409 არაქართული საჯარო სკოლა, მათ შორის 140 სომხური, 124 აზერბაიჯანული, 142 რუსული და 3 ოსური სკოლა.

32. 2006 წელს, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სახელმძღვანელოები ითარგმნა უმცირესობების ენებზე. აღსანიშნავია ასევე შემდეგი ღონისძიებები:

(ა) ჟურნალი „მასწავლებელი“ ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია “სამოქალაქო ინტეგრაციისა და კულტურათაშორისი ცენტრი“-ის მიერ, და გავრცელდა;

(ბ) გაზეთი “დიალოგი”, რომელიც განკუთვნილია მასწავლებლებისათვის, მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, ითარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე;

(გ) მეთოდური სახელმძღვანელოები: “სწავლების და განვითარების თეორიები” და “სწავლება და შეფასება” ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;

(დ) ქვე-პროგრამა “არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა” უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობებს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებით, რომლებიც თარგმნილია მათ მშობლიურ ენებზე;

(ე) 2009 წლიდან გამოცდების ეროვნული ცენტრი მართავს სასკოლო ოლიმპიადებს ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

## ე. მმ-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაცია

33. კომიტეტი აღნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოს სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა სახელმწიფო ორგანოებში და საჯარო ადმინისტრირებაში არის არაპროპორციულად დაბალი, რაც იწვევს მათ არასაკმარის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს, რომ მომდევნო პერიოდულ ანგარიშში მან წარმოადგინოს უფრო მეტი ინფორმაცია სახელმწიფო და საჯარო ადმინისტრირების ორგანოების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. აგრეთვე, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს მიიღოს პრაქტიკული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეთნიკური უმცირესობები წარმოდგენილი იყვნენ სახელმწიფო და საჯარო ადმინისტრირების ორგანოებში და ასევე იმისთვის, რომ გაზარდოს მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის შეიმუშაოს კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამები აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებისთვის.

34. ეროვნულ უმცირესობათა დახმარებისა და ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს სპეციალურ კულტურულ პოლიტიკას. კერძოდ, უმცირესობათა შესაბამისი კულტურული დაწესებულებები იღებენ ფინანსურ დახმარებას, რაც მათ სხვადასხვა კულტურული ღონისძიების განხორციელების საშუალებას აძლევს (მაგალითად, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი, მირზა-ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში, თბილისის სახელმწიფო სომხური და აზერბაიჯანული თეატრები). ამასთან, თბილისის მერიამ შეიმუშავა თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ფინანსურად ეხმარება ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრებს (მაგალითად, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი). დედაქალაქის გარეთ, მსგავს დახმარებას ახორციელებს ადგილობრივი სამთავრობო დაწესებულებები, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს ბიბლიოთეკებს უმცირესობათა ენებზე (25 სომხური, 15 აზერბაიჯანული, 14 შერეული და 5 ოსური), ასევე უამრავ ხელოვნების სკოლას, მუსიკალურ სასწავლებლებსა და კლუბებს. ამასთან, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს თბილისის ყველა პანთეონის, მათ შორის, სომეხი მწერლებისა და პოლიტიკური ფიგურების პანთეონის, მოვლა-პატრონობას.

35. საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი საფუძველი განსაზღვრულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ავალდებულებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო პროცესებში ყველა სტუდენტის ჩართვის ხელშეწყობას, მიუხედავად მათი გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობებისა და სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და იდეოლოგიური კუთვნილებისა. იმისათვის, რომ

დაეხმაროს სკოლის მასწავლებლებს აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თარგმნა და გაავრცელა ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „რელიგიური მრავალფეროვნება და კულტურათაშორისი განათლება“. ამის გარდა, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი მუშაობს სახელმძღვანელოზე „მსოფლიოს რელიგიათა ისტორია“ მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია შემწეობისა და სხვა რელიგიების პატივისცემის განვითარება ახალგაზრდა თაობას შორის.

36. საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები, ვიდრე დანიშნავდნენ კანდიდატებს შესაბამის პოზიციებზე, არ აგროვებენ ინფორმაციას მათ ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებაზე, შესაბამისად, ძალიან რთულია სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა უმცირესობათა საჯარო დაწესებულებებში დასაქმების შესახებ. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ უმცირესობათა წარმომადგენლობა განსაკუთრებით მაღალია იმ რაიონებში, სადაც უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულნი, მაგალითად, ნინოწმინდასა და ახალქალაქის რაიონში (86%-მდე) და წალკის რაიონი (55%-მდე). ამასთან, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები დასაქმებულნი არიან რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში; ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების სამმართველოსა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს თანამშრომელთა უმრავლესობა, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებია.

37. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო თვლის, რომ ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ დამატებით ღირებულებას პოლიციისათვის, ვინაიდან მათ კარგად ესმით ადგილობრივი ინტერესები და ტრადიციები. შესაბამისად, კანდიდატს, რომელიც არ ფლობს ადეკვატურად ქართულ ენას, მიღებამდე და მიღების შემდგომაც, სთავაზობენ ენის კურსს პოლიციის აკადემიაში.

38. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობისა და თანაბარი საარჩევნო უფლებების განმტკიცებას. ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, 2009 წელს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, შეიმუშავა საარჩევნო ბიულეტენები და ასევე შესაბამისი დოკუმენტაცია უმცირესობათა ენებზე (რუსულ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ). ამასთან, აუდიო და ვიდეო რეკლამები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე განთავსდა რეგიონულ სატელევიზიო პროგრამებში, რომელიც გადაიცემა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

### **3. მმ-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

39. კომიტეტი მიესალმება წევრი სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას საქართველოდან 1944 წელს გაძევებული მესხების დაბრუნების და ინტეგრაციის შესახებ, ისევე როგორც ბოლო დროს დაარსებულ მესხთა რეპატრაციის სახელმწიფო

კომისიას, მაგრამ ამავე დროს გამოთქვამს სინანულს მასზედ, რომ არანაირი კონკრეტული ზომა არ იქნა მიღებული აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს, რომ მომდევნო პერიოდულ ანგარიშში მან წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია მესხთა მდგომარეობის შესახებ და ასევე გაატაროს შესაბამისი ზომები მათ დასაბრუნებლად და საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად, მათ შორის, მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო აქტი აღნიშნულ საკითხზე, რომელიც შემუშავების პროცესშია 1999 წლიდან.

40. 2007 წლის 11 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“. კანონი ეხება იძულებით გადასახლებულ პირებს<sup>10</sup> და უზრუნველყოფს იძულებით გადასახლებულ პირთა, ასევე მათ შთამომავალთა, რეპატრიაციის სამართლებრივ საფუძველს. რეპატრიანტის სტატუსი აძლევს უფლებას პირს მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო უფლებამოსილია განიხილოს განცხადებები რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ.

41. პირის მიერ რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადის წარდგენის თავდაპირველ ვადად განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვარი. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ აღნიშნული ვადა ორჯერ გადასწია: 2009 წლის 1 ივლისამდე და 2010 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, მესხი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, კანონში ორჯერ შევიდა ცვლილება 2009 წლის დეკემბერში, რითაც გამარტივდა რეპატრიაციის პროცედურა.

42. უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოხატა წუხილი რეპატრიანტის სტატუსის მიღების შემდეგ მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩენის რისკის თაობაზე. მოქალაქეობის არქონის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, დებულება<sup>11</sup> იმის შესახებ, რომ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემდეგ პირს უნდა ეთქვა უარი მეორე ქვეყნის მოქალაქეობაზე, გაუქმებულ იქნა. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ვალდებულება მიეღო დადგენილება

<sup>10</sup> იძულებით გადასახლებული პირები გადასახლებულ იქნენ ყოფილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან სხვა ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკებში სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის 6279 ცვ დადგენილების საფუძველზე.

<sup>11</sup> „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2009 წლის 1 დეკემბრის №2204 კანონი.

„რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“, რაც უზრუნველყოფდა დამატებით გარანტიებს პირის მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩენის რისკის აღსაკვეთად.

43. არსებული სტატისტიკის თანახმად, 5,806 პირმა წარადგინა განაცხადი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად. განმცხადებლების უმრავლესობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი არიან უკრაინიდან, ყაზახეთის რესპუბლიკიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ა.შ.

44. ქართულ საზოგადოებაში იძულებით გადასახლებულ პირთა უმტკივნეულო ინტეგრაციის მიზნით, მთავრობამ, არასამთავრობო და დონორმა ორგანიზაციებმა დაიწყო ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება. ღონისძიებები ამ მიმართულებით მოიცავს პროცედურებსა და განცხადებებზე სახელმძღვანელო ბროშურების შემუშავებას სამ ენაზე (რუსული, ინგლისური და აზერბაიჯანული) და მათ გავრცელებას მესხ მოსახლეობას შორის უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიერ.

45. ამასთან, ასოციაცია „ტოლერანტი“ ახორციელებს პროექტს, რომელიც მიმართულია მესხი რეპატრიანტების ინტეგრაციაზე, საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით დახმარებაზე, საზაფხულო სკოლებისა და ქართული ენის კურსების მოწყობაზე. ამავე ორგანიზაციამ, შექმნა 24 საათიანი „ცხელი ხაზის“ მომსახურება იძულებით გადასახლებული პირებისათვის. ამასთან, გადაღებულ იქნა ოთხი დოკუმენტური ფილმი იძულებით გადასახლებულ პირებზე და გადაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ. საინფორმაციო წიგნი „მესხეთის ცნობილი შვილები“ გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე და მოგვიანებით გავრცელდა იძულებით გადასახლებულ პირთა მოსახლეობას შორის.

## **ზ. მე-5 მუხლიან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

46. კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამს, რომ სახელმწიფო ანგარიშში არასაკმარისი დოზით იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე, მათი უფლებების ეფექტიან განხორციელებასა და დისკრიმინაციისგან თავისუფალ მიდგომაზე.

კომიტეტი წვერი სახელმწიფოს ყურდღებას ამხვილებს XXX ზოგად რეკომენდაციაზე რომელიც ეხება მოქალაქეობის არმქონე პირებს, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წვერ სახელმწიფოს, უზრუნველყოს კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი სარგებლობა, განსაკუთრებით სასამართლო ხელმისაწვდომობისა და ჯანმრთელობის უფლება.

47. მართლმსაჯულების წინაშე თანასწორობა არის კონსტიტუციური პრინციპი საქართველოში და იგი გათვალისწინებულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტში. კონსტიტუციური გარანტიის გასაძლიერებლად, ახალი კანონი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ 2007 წლის ივლისში, რომელიც განამტკიცებს უფასო იურიდიულ დახმარებას დისკრიმინაციის გარეშე. ამ კანონის მიზანია დაამყაროს სოციალურად ორიენტირებული იურიდიული დახმარების სისტემა, რათა ხელი შეუწყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული წარმოებისას მართლმსაჯულებისადმი მიმართვის უფლების ეფექტურ რეალიზაციას. იურიდიული დახმარება მოიცავს იურიდიულ კონსულტაციებს და სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენას ყველასათვის, მაშინ როცა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა შესაძლებელია ყველა იმ რეზიდენტისათვის, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან,<sup>12</sup> და სავალდებულო სამართლებრივი დახმარება კი (სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორც ეს განსაზღვრულია სსსკ-ით) შესაძლებელია საქართველოს რეზიდენტებისათვის, ასევე უცხოელებისათვის. იურიდიული დახმარების სისტემა საქართველოში ხორციელდება 10 იურიდიული დახმარების ბიუროსა და (მათ შორისაა ბიუროები ქვემო ქართლში, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული აზერბაიჯანელი უმცირესობით) და ორი საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით. კერძოდ, კრიმინალური მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დამატებითი რეგიონული ოფისების შექმნას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (2011-2013 წლისათვის) ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. 2010 წლის მარტიდან, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით, ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ოფისი იქნა გარემონტებული.

48. ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ აქტებში.<sup>13</sup> 2009 წელს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით<sup>14</sup> დამტკიცდა რამოდენიმე სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ყველას მიმართ, იქნება ეს მოქალაქე თუ

<sup>12</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე წარმომადგენლობისათვის უზრუნველსაყოფად, პირმა უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური ტესტის მოთხოვნები, ანუ, ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 70,000 ან ნაკლები ქულით, ან ზოგიერთი კატეგორიის საქმეებში 100,000 ან ნაკლები ქულით.

<sup>13</sup> მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის №1139 კანონი.

<sup>14</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 მარტის ბრძანება 2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ.

არა-მოქალაქე, ანუ უცხოელი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. ეს პროგრამები მოიცავს:

- მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა;
- ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა;
- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა;
- ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა.

## თ. მე-5 მუხლიან დაკავშირებული რეკომენდაციები

49. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილთა სამართლებრივ მდგომარეობაზე განახლებული მიდგომები არსებობს, კომიტეტი კვლავაც შეშფოთებულია, იმის გამო, რომ გარკვეული ეროვნების ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა არანებაყოფლობითი დაბრუნება ხდება იმ პირობებში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათი უფლებები მიმღებ სახელმწიფოში მნიშვნელოვნად შეილახება.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს, მიაწოდოს კომიტეტს ზუსტი ინფორმაცია ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივ მდგომარეობაზე, მათ უფლებრივ გარანტიებზე, ასევე დეპორტაციის ორდერის გასაჩივების მექანიზმებზე შიდა ინსტანციაში. კომიტეტი ასევე სთხოვს მხარე სახელმწიფოს, რომ კონვენციის მე 5(ბ) მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს, რომ არცერთი ლტოლვილი არ დაბრუნდეს ისეთ სახელმწიფოში, სადაც არსებობს მათი უფლებების სერიოზული დარღვევის რისკი. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, მოახდინოს შემდეგი კონვენციების რატიფიცირება: კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ და კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ.

50. 2005 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რათა დაერეგულირებინა უცხოელების საქართველოში შემოსვლა, ყოფნა, საქართველოს გავლით ტრანზიტი და გამგზავრება საქართველოდან, ასევე განსაზღვრა უცხოელთა უფლებები და ვალდებულებები და

დეპორტაციის პროცედურები.<sup>15</sup> კერძოდ, კანონის 53-ე მუხლი ადგენს უცხოელთა დეპორტაციის საფუძვლებს: უცხოელი შეიძლება დეპორტირებულ იქნეს, თუ იგი უკანონოდ შემოვიდა საქართველოში; ადარ არსებობს მისი საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი; მისი საქართველოში ყოფნა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი კრძალავს პირის გაძევებას, თუ მას დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედობისათვის, რაც არ ითვლება დანაშაულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დევნიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისათვის; ან თუ მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

51. საქართველოს მთავრობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არ ყოფილა უცხოელების გაძევების, დეპორტაციის, დაბრუნების ან გადაცემის ან უარის სხვა აქტი იმ ქვეყნებში, სადაც მათ ფიზიკურ ან მორალურ უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება. 2001 წელს, საქართველომ მოახდინა ჩეჩენი წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების ექსტრადიცია, რომლებიც იძებნებოდა რუსული სამართალდამცავი სამსახურების მიერ. ჩეჩენი წარმოშობის ცამეტმა პირმა, რომლებიც იყვნენ ექსტრადიციის პროცედურის სუბიექტები, წარადგინა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ცამეტი პიროვნებიდან, რომლებიც ექსტრადიციას ექვემდებარებოდა, მხოლოდ ოთხის გადაცემა მოხდა რუსეთის ფედერაციისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქართველოს მხრიდან ადამიანის უფლებადა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევა.<sup>16</sup> მას შემდეგ, საქართველომ განახორციელა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, როგორცაა, ექსტრადიციის თაობაზე მთავარი პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ზუსტი პროცედურის დადგენა, ექსტრადიციის მიმდინარე პროცედურის თაობაზე დაკავებულის ინფორმირების ვალდებულების ნათლად განსაზღვრა, და ა.შ. ამასთან, საქართველომ სათანადოდ აღასრულა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური ისე, ზოგადი ღონისძიებების ნაწილში. რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველომ გადაუხადა კომპენსაციები მსხვერპლებს, გააუქმა გენერალური პროკურორის მოადგილის გადაწყვეტილება 9 პირის ექსტრადიციის თაობაზე და გააუმჯობესა ექსტრადიციის სამართლებრივი ბაზა. უფრო მეტიც, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მათ შორის XXII ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად), 2006 წლის ივლისში შეიცვალა სსკ და ნათლად აიკრძალა იმ პირთა ექსტრადიცია, რომლებიც სარგებლობენ პოლიტიკური თავშესაფრით ან აქვთ ლტოლვილის სტატუსი.

<sup>15</sup> ამასთან, „უცხოელთა საქართველოდან გაძევების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის №401 ბრძანებულება პირდაპირ განსაზღვრავს დეპორტაციის პროცედურას.

<sup>16</sup> იხ. შამაგვი და 12 სხვა პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი №36378/02, 2005 წლის 12 აპრილი.

**ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი დაცვა**

52. საქართველოს კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად,<sup>17</sup> ლტოლვილებს ეძლევათ სამგზავრო დოკუმენტი, როგორც ეს გათვალისწინებულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციით. სამგზავრო დოკუმენტები, ლტოლვილებს აძლევს საშუალებას იმოგზაურონ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მესამე/უცხო ქვეყანაში.

**საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა სტატისტიკა (2009)**

<i>ქვეყანა</i>	<i>რაოდენობა</i>
თურქეთი	1
რუსეთი	856
ერაყი	5
თურქმენეთი	2
ირანი	1
ტაჯიკეთი	2
<b>სულ:</b>	<b>867</b>

53. საქართველოში ლტოლვილთა ყველაზე დიდი ჯგუფი ჩეჩნური წარმოშობისაა. მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მთავრობა მუშაობს მათი პრობლემების გრძელვადიან მოგვარებაზე. ამჟამად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან ერთად, ახორციელებს პროექტს – „ლტოლვილის დაბადების რეგისტრაცია და ნატურალიზაცია მათი სოციალური მომსახურებისა და დაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის“. სხვა საკითხებს შორის, პროექტის მიზანია დაეხმაროს ლტოლვილებს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაში. ამასთან, პროექტები, რომლებიც ხორციელდება გაეროსა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს

<sup>17</sup> „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 21 მარტის №5973 ცვლილებები და დამატებები.

ფინანსური მხარდაჭერით, მიზნად ისახავს ჩეჩენი ლტოლვილების საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას.<sup>18</sup>

54. ლტოლვილთა შესახებ 1998 წლის კანონში ხარვეზების აღმოჩენის შემდგომ, საქართველოს მთავრობამ მოამზადა ლტოლვილთა და დროებით თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ კანონპროექტი. კანონპროექტი, სხვა საკითებთან ერთად, აფართოებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ფარგლებს, ადგენს თავშესაფრის მიცემის ნათელ პროცედურებს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ექსპერტული დახმარება გაუწია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა 2009 წელს და კანონპროექტის საბოლოო ვერსია უახლოეს მომავალში გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში.

## 0. მე-5 მუხლიან დაკავშირებული დისკონიტი რეკომენდაციები

55. რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები კომიტეტისთვის მნიშვნელოვანია ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში. კომიტეტი, აღიარებს რა სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს ეთნო-რელიგიური ძალადობის აღმოსაფხვრელად, კვლავაც რჩება შეშფოთებული განსაკუთრებით იეზიდო-ქურთი ეთნო-რელიგიური უმცირესობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს, მიუთითოს პერიოდულ გამოცემაში დეტალური იფორმაცია ეთნო-რელიგიური უმცირესობათა ჯგუფების მდგომარეობაზე, აგრეთვე მიიღოს აქტი მათ უფლებებსა და თავისუფლებებზე, აზრისა და რელიგიის თავისუფლად გამოხატვასთან დაკავშირებით, რათა დაცულ იყვნენ უმცირესობათა ჯგუფები ყოველგვარი დისკრიმინაციისგან, განსაკუთრებით კი ძალადობისგან.

56. რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციური უფლებაა და იგი დაცულია კანონით.<sup>19</sup> სსკ-ით დანაშაულად არის გამოცხადებული რელიგიური უფლებების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, მათ შორის, ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა (სსკ-ის 155-ე მუხლი). ასევე, სსკ-ის 156-ე მუხლის თანახმად,

<sup>18</sup> მაგალითად, 2006-08 წლებში, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ განახორციელა 48 შემოსავლის მომტანი პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტი შეადგენს 350,226 ლარს.

<sup>19</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.“

დანაშაულად არის გამოცხადებული ადამიანის დევნა აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო. ზემოაღნიშნული ორი მუხლი წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის საფუძველს რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის აღკვეთისათვის.

57. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სკოლების დონეზე მოსწავლეთა შორის რელიგიური დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით. ეროვნული სასწავლო გეგმების თანახმად, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული, რელიგიის ისტორია არის არჩევითი საგანი. აღნიშნული საგანი იკითხება, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა ნაწილი და იგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: რელიგიების წარმოშობა/ფორმირება, საზოგადოებაში რელიგიის როლი, მსოფლიოში სხვადასხვა რელიგია და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო კრძალავს სკოლებში რაიმე სახის რელიგიური რიტუალის ან წესის აღსრულებას ან რაიმე რელიგიური სიმბოლოს გამოყენებას, გარდა სწავლების მიზნით.

58. მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მასწავლებლებს, რომ დაამყარონ ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური პერსონალურობის სრულად განვითარებასა და მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. კოდექსი განამტკიცებს უფლებებზე დამყარებული ღირებულებებისა და პრინციპების პროპაგანდის საქმეში მასწავლებლების როლს და ასევე კრძალავს მოსწავლეთა დისკრიმინაციას ეთნიკური წარმოშობის ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.

### **კ. მმ-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

59. სიღარიბე არის პრობლემატური საკითხი ადამიანის უფლებების კონტექსტში, ვინაიდან ის საშიშროების ქვეშ აყენებს ყველა ტიპის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების მიერ თავიანთი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. კომიტეტი შემოფოთებულია, იმ უკიდურესი სიღარიბით, რის პირობებშიც უწევს ცხოვრება მხარე სახელმწიფოს მოსახლეობის უმეტესობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს და მწუხარებას გამოთქვამს, რომ სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პროგრამა კვლავაც არ არის მიღებული.

**კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოს, დაზუსტებით აღწეროს პერიოდულ მოხსენებაში მისი ეკონომიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი უმცირესობათა ჯგუფების და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა შეამციროს სიღარიბე, განსაკუთრებით უმცირესობათა ჯგუფებში და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, მათ შორის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღებით.**

60. სიღარიბის შემცირება საქართველოში არის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მიღებული გამომწვევის საქართველოს ფონდის დაარსება, რომლის ბიუჯეტი 395.3 მილიონ აშშ

დოლარს შეადგენს. ფონდი მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში სიღარიბის შემცირებასა და ეკონომიკურ განვითარებას. მისი განხორციელება ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და წარმოების განვითარებას.

61. ეთნიკურ უმცირესობათა შორის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, მილენიუმის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ენერჯის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი (ბიუჯეტი 49.5 მილიონი აშშ დოლარი) დაზიანებული ჩრდილო-სამხრეთ მილსადენის აღდგენის მიზნით: პროექტი ითვალისწინებს 22 ობიექტის რეაბილიტაციას. შესაბამისად, ენერჯის მოწოდების უსაფრთხოება და საიმედოობა გაზრდის გაზის მარაგს ელექტროსადგურებში და გახდის ინდუსტრიულ სექტორს უფრო საიმედოს;
- სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის (ბიუჯეტი 203,515,000 აშშ დოლარი) ფართომასშტაბიანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გზისა და სატრანსპორტო ქსელის აღდგენას სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. გზის აღდგენა ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ამ ორი რეგიონის საქართველოს სხვა რეგიონებთან დაკავშირებას.
- აგრობიზნესის განვითარების პროექტი (ბიუჯეტი 15,250,000 აშშ დოლარი) ითვალისწინებს გრანტების გაცემას თანადაფინანსებისა და კონკურენციის საფუძველზე, რათა განვითარდეს პირველადი წარმოება, შეიქმნას ფერმერული მეურნეობის მომსახურების ცენტრები, დამატებითი ღირებულების წარმოებისა და ღირებულებების სისტემები საქართველოს ყველა რაიონში. პროექტი ხელს შეუწყობს აგრობიზნესის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ეთნიკური უმცირესობებისათვისაც.

•

## **ლ. მე-5 მუხლთან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

62. კომიტეტი შეშფოთებულია თვითნებური დაკავებების, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებით, რომელიც მიმართულია უმცირესობათა ჯგუფებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა წინააღმდეგ. ასევე, დასანანი ამაგვარ ფაქტებზე არასათანადო გამოძიების წარმოება.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოფხვრას არასათანადო მოპყრობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, უზრუნველყოს სწრაფი, ეფექტიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება უმცირესობათა ჯგუფებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დასაცავად. დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ, ხოლო მსხვერპლებს მიეცეთ კომპენსაცია.

## საკანონმდებლო ბაზა

63. 2005 წელს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა სსკ-ის 144-ე მუხლში, რომელიც ეხება წამებას, წამების მუქარას, და დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. 144-ე მუხლი განსაზღვრავს წამებას როგორც „პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან საგარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის“. უფრო მაღალი სანქცია, 12-იდან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა (7-დან 10 წლამდე ვადასთან შედარებით), გათვალისწინებულია იგივე დანაშაულისათვის, თუ იგი ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (მუხლი 144 (2) (ა) ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით (მუხლი 144 (2) (ბ)). 144-ე მუხლი კრძალავს წამებით მუქარას და ითვალისწინებს ამისათვის სანქციის სახით ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. 144-ე მუხლი ასევე კრძალავს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას და ითვალისწინებს უფრო მაღალ სანქციას (4 წლიდან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას) თუ იგი ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით.

## ინსტიტუციონალური განვითარება

64. ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამსახურები შეიქმნა სამართალდამცავ უწყებებში, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს მთავარი პროკურატურის აპარატსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში. ამ სამსახურების ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა, ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება. აღნიშნული სამსახურები წარმოადგენენ როგორც ინდივიდუალური, ისე სისტემური პრობლემების დროული და ადეკვატური მოგვარების ეფექტურ საშუალებას.

65. ადამიანის უფლებათა სამსახურების გარდა, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 20 ივნისის №369 ბრძანებულებით შეიქმნა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-შორისო საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს წევრები არიან მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები, საერთაშორისო და

არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საბჭოს ფუნქციას შეადგენს წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შესახებ ყოველწლიური სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია და მონიტორინგი.

### **წამების მსხვერპლთა კომპენსაცია**

66. წამების მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, მსხვერპლს შეუძლია ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. ამასთან, კოდექსის 1005-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, იმ შემთხვევაში თუ ზიანი გამოწვეულია სახელმწიფო მოსამსახურის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. 2009 წელს, კომპენსაცია წამების მსხვერპლს მიეცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში. 2007 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიუსაჯა 7 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ორ თანამშრომელს წამების დანაშაულისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს 2003 წელს. 2009 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და დამნაშავეებმა მსხვერპლს გადაუხადეს კომპენსაცია 9,000 ლარის ოდენობით.

### **სამართალდამცავი უწყებების პოტენციალის გაძლიერება**

67. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული სახელმძღვანელო ძალის გამოყენების შესახებ წარმოადგენს დამატებით დაცვას არასათანადო მოპყრობისაგან. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიამ, აშშ-სა და საფრანგეთის მთავრობებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ძალის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო. კურსი მოიცავს აგრესიული ეჭვიმტანილების გამკლავების, მინიმალურად საჭირო ძალის გამოყენების, ძალადობის/წინააღმდეგობის აღკვეთისას ძალის ესკალაციის, იძულებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და აბსოლუტური აუცილებლობის საკითხებს. პარალელურად, პოლიციის აკადემიაში ჩარიცხული კურსანტებისათვის მომზადებულ იქნა ტრეინინგ მოდული. სახელმძღვანელო ისწავლება, როგორც საბაზისო კურსის სავალდებულო ნაწილი, და იგი არის ადამიანის უფლებათა საგნის მნიშვნელოვანი დამატება, რომელიც შეადგენს მთელი კურსის 15%-ს.

## **მ. მე-6 მუხლთან დაკავშირებული დანაკონიტი რეკომენდაციები**

68. მიუხედავად იმისა, რომ ომბუდსმენის ოფისის არსებობა დადებითად უნდა იქნას შეფასებული, კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამს, რომ არასრული ინფორმაცია იქნა მიწოდებული ამ ინსტიტუტის კომპეტენციასთან, ეფექტურობისა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ პერიოდულ ანგარიშში აღინიშნოს დეტალური ინფორმაცია ომბუდსმენის ეფექტიანობის, კომპეტენციის და მიღწევების შესახებ. ამასთან, კომიტეტი მოუწოდებს მხარე სახელმწიფოს, გააძლიეროს ეს ინსტიტუტი, უზრუნველყოს საჭირო რესურსებით, რათა ომბუდსმენის ოფისმა, როგორც დამოუკიდებელმა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანომ მოახერხოს სათანადოდ ფუნქციონირება, პარიზის პრინციპებისა და გაეროს 48/134 რეზოლუციის შესაბამისად.

69. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი შეიქმნა პარიზის პრინციპების შესაბამისად 1996 წლის 16 მაისის №230 ორგანული კანონის საფუძველზე. სახალხო დამცველი დამოუკიდებელია თავისი ფუნქციების შესრულებისას და იგი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით, რომლის წინაშეც იგი ანგარიშგაღებულა.<sup>20</sup> სახალხო დამცველს აპარატის მანდატი ფართოა და იგი მოიცავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო დამცველის აპარატის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ფუნქციას და მის უფლებამოსილებას გამოიძიოს ინდივიდუალური საჩივრები (წარდგენილი განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე ან თავისი ინიციატივით).<sup>21</sup> კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს საქართველოში თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულების რეგულარულ შემოწმებას.<sup>22</sup> ადამიანის დარღვეულ უფლებათა აღსადგენად, სახალხო დამცველი უგზავნის რეკომენდაციებს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა და ყოველ ექვს თვეში ერთხელ უგზავნის ანგარიშს საქართველოს პარლამენტს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.<sup>23</sup>

70. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად,<sup>24</sup> სახალხო დამცველის აპარატი განისაზღვრა წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნულ მექანიზმად.<sup>25</sup>

<sup>20</sup> Supra სქოლიო 17, მუხლი 6 (2).

<sup>21</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-12 და მე-13 მუხლები.

<sup>22</sup> იქვე, მე-19 (2) მუხლი.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2009 წლის 16 ივლისს განხორციელებული №1462 ცვლილება.

<sup>25</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხ. UNCHR-ის ვებ-გვერდი (<http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/opcat/mechanisms.htm>): სახალხო დამცველის აპარატმა წარუდგინა ანგარიში წამების აღკვეთის ქვეკომიტეტს, სადაც აღწერილია საქართველოს

71. აღსანიშნავია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და რელიგიათა საბჭოს გარდა, სახალხო დამცველის აპარატი 2001 წელს შექმნა ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი და 2008 წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა დაცვის ცენტრი.

## **6. მე-6 და მე-7 მუხლიან დაკავშირებული დასკვნითი რეკომენდაციები**

72. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციას უშუალო მოქმედების ძალა აქვს მინიჭებული ეროვნული სასამართლოების წინაშე, კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამს რასობრივ დისკრიმინაციაზე არსებული საჩივრების თაობაზე ინფორმაციის სიმწირის, რასობრივი დისკრიმინაციის საკითხზე სასამართლო დავების არარსებობის გამო და ხაზს უსვამს ამ საკითხზე სახელმწიფო სტრუქტურებში ინფორმაციის გავრცელების საჭიროებას.

კომიტეტი რეკომენდაციას გამოთქვამს, რომ მხარე სახელმწიფომ შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, რათა რასობრივ დისკრიმინაციის თაობაზე საქმეების სიმცირე არ იყოს გამოწვეული უმცირესობათა ჯგუფების არაინფორმირებულობით ან ფინანსური რესურსების არარსებობით, ინდივიდების უნდობლობით პოლიციის ან სასამართლო ორგანოების მიმართ, ოფიციალური ორგანოების მხრიდან ყურადღების სიმცირით ან რასობრივი დისკრიმინაციის საქმეების სენსიტიურობით. კომიტეტი მოუწოდებს მხარე სახელმწიფოს, ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოს კონვენციის ნორმების ეფექტიანი დაცვა, ამასთან მოახდინოს ინფორმაციის გავრცელება სამართლებრივი დაცვის ზომების თაობაზე. ამასთან, კომიტეტი მოუწოდებს მხარე სახელმწიფოს, მიიღოს ზომები პოლიციისა და სასამართლო ორგანოების თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებლად კონვენციის მუხლებთან მიმართებაში.

### **ცნობიერების ამაღლება**

73. ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივ საკითხებზე მსხვერპლთა უფლებების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ შემწყნარებლობის ცენტრს დაეკისრა ნებისმიერი შესაბამისი პირისათვის დახმარების გაწევის ამოცანა, ასევე მთავრობასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის კონსულტაციებისა და დიალოგის ხელშეწყობა. 2009 წელს, ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ დაბეჭდა ბროშურები, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას უმცირესობათა საკითხებსა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს საქმიანობის შესახებ. ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს მანდატის შესახებ იხილეთ მე-9 პარაგრაფი ზემოთ.

---

მთავრობის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებები წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

74. პარალელურად, იურიდიული დახმარების სამსახური სათანადოდ აღნიშნავს ეთნიკურ უმცირესობათა კონსულტაციას თავიანთ უფლებებზე მისი ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით. ცოტა ხნის წინ, იურიდიული დახმარების სამსახურმა გახსნა ბიურო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და იგეგმება ახალქალაქში საკონსულტაციო ცენტრის გახსნა რეგიონში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა მომსახურების მიზნით.

75. ამასთანავე, მთავრობა აცნობიერებს, რომ ინფორმაცია საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნულ უმცირესობათათვის. ერთ-ერთი ასეთი სიახლეა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევა 2010 წლის ოქტომბერში. ამ მიმართულებით, იურიდიული დახმარების სამსახური უკვე გეგმავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების სათანადო კამპანიის განხორციელებასა და საინფორმაციო ბროშურების გამოქვეყნებას აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ეს ბროშურები დაეხმარება ეთნიკურ უმცირესობებს იყვნენ ინფორმირებულ მათი სამართლებრივი უფლებების/ვალდებულებების შესახებ და მიიღონ ინფორმაცია საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ საშუალებებზე.

### **სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების პროფესიული ტრეინინგი**

76. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სპეციალური ყურადღება ექცევა შესაბამისი მოხელეების ტრეინინგს ადამიანის უფლებათა სფეროში. ამ ტრეინინგების მიზანია არა მხოლოდ სამართალდამცავების კვალიფიკაციის ამაღლება, არამედ მათი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაზრდა ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი. მაგალითად, პოლიციის აკადემიაში საბაზისო მოსამზადებელი კურსის 10 აკადემიური საათი განკუთვნილია ადამიანის უფლებებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რასობრივი დანაშაულების კვალიფიკაციას; რასობრივ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა მთელი რიგს ასევე მოიცავს სხვა კურსებიც. აკადემიის სტუდენტები ასევე გადიან ტრეინინგს იმ დანაშაულთა გამოძიებასთან დაკავშირებით, რომლებიც მოტივირებულია რასობრივი დისკრიმინაციით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის აკადემია სთავაზობს კურსებს პოლიციის ეთიკის კოდექსსა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის შესახებ, რომლებიც მოიცავს ეროვნულ, რასობრივ და რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობის საკითხებს და იმ ფაქტორებს, რომლებიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ეროვნულ, რასობრივ და რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობისას, რა საშუალებებით უნდა იქნეს აცილებული სტერეოტიპული ვარაუდები, პრობლემები, რაც დაკავშირებულია დანაშაულთა აღკვეთასთან იმ რეგიონში, რომელიც დასახლებულია ეროვნული, რასობრივი და რელიგიური უმცირესობებით.

2 743 პოლიციის ოფიცერმა გაიარა ტრეინინგი მისი დაწყებიდან დღემდე

1	რაიონის ინსპექტორების საბაზისო მოსამზადებელი კურსი	2008	952
2	საპატრულო პოლიციის საბაზისო მოსამზადებელი კურსი	2008	73
3	მოხელეთა გადამზადების კურსები	2008	74
4	რაიონის ინსპექტორების საბაზისო მოსამზადებელი კურსი	2007	986
5	საპატრულო პოლიციის საბაზისო მოსამზადებელი კურსი	2007	173
6	მოხელეთა გადამზადების კურსები	2007	97
7	რაიონის ინსპექტორების საბაზისო მოსამზადებელი კურსი	2006	163
8	საპატრულო პოლიციის საბაზისო მოსამზადებელი კურსი	2006	225
<b>სულ:</b>			<b>2 743</b>

77. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტრენინგ ცენტრი ატარებს გადმაგებულ ტრენინგ პროგრამებს პროკურორებისათვის. ტრენინგის სასწავლო გეგმა ფარავს სხვადასხვა საკითხს და იგი მოიცავს ტრენინგს ადამიანის უფლებებში, მათ შორის უმცირესობათა უფლებებში. 2009 წლის 25 – 27 აპრილს, ჩატარდა სემინარი დანაშაულების სხვადასხვა ტიპთან მიმართებით დისკრიმინაციის აკრძალვაზე, კერძოდ, რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის აკრძალვაზე, რელიგიური დისკრიმინაციის აკრძალვაზე. მთლიანობაში 75 პროკურორმა და გამომძიებელმა მიიღო სემინარში მონაწილეობა, რომელიც ჩატარა ევროპის საბჭოს ექსპერტებმა.

### ეთიკის კოდექსი

78. საქართველოს მთავარი პროკურორის აპარატსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს ეთიკის კოდექსები, რომელიც ადგენენ გარკვეულ სტანდარტებს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ინტერესებთან მიმართებით. კოდექსის მიზანია ქცევის უფრო მაღალი სტანდარტის დადგენა მოხელეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების პროცესის მხარდაჭერისა და თანასწორობის პრინციპის დასამკვიდრებლად, თანამდებობრივი მოვალეობის სამართლიანად, ეფექტიანად, მიუკერძოებლად და პროფესიონალურად შესრულების განმტკიცება, მართლმსაჯულების უპირობო და ეფექტური აღსრულების გაუმჯობესება, მოხელეთა მიერ კანონის უპირობო დაცვის განმტკიცება, ადამიანის უფლებათა დაცვა

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. ეთიკის კოდექსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დისკრიმინაციის აკრძალვაზე. მისი კონკრეტული დებულებების თანახმად, მოხელეებმა ხელი უნდა შეუწყონ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესს.

### III. ინფორმაცია კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ

#### ა. მმ-2 მუხლი

79. ეროვნული კანონმდებლობის არც ერთი დებულება ან ინსტიტუტი არ უშვებს რასობრივ დისკრიმინაციას საქართველოში, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში აღიარებულ ფუნდამენტურ უფლებათა პრინციპს და სხვა შესაბამის კანონებს. ქვემოთ მოცემულია ანგარიში საქართველოს მიერ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებული სხვადასხვა პოზიტიური ნაბიჯის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის თაობაზე. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ასევე მის მთავრობას, არასოდეს არ დაუჭერია მხარი ან განუხორციელებია ისეთი ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია რასობრივ დისკრიმინაციასთან. საქართველოს არაერთხელ დაუდასტურებია მისი განუხრელი პოზიცია რასობრივი დისკრიმინაციის აქტებთან, ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით.<sup>26</sup>

#### ბ. მმ-3 მუხლი

80. საქართველო აღნიშნავს, რომ საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი რასობრივი სეგრეგაციისა და აპარტიდის განხორციელებას. ამასთან, 2005 წლის 11 მარტს, საქართველო შეუერთდა აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ კონვენციას. კონვენციის IV მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას მიიღონ საკანონმდებლო ან სხვა სახის ყველანაირი ზომები, რომლებიც აუცილებელია ასეთი ქმედებების აღსაკვეთად და ასევე აპარტიდის დანაშაულის ხელშეწყობისა და აპარტიდის მსგავსი სეგრეგაციული პოლიტიკისა ან მისი გამოვლინებების თავიდან აცილებისა და იმ პირების დასჯის მიზნით, რომლებიც დამნაშავეები არიან ამ დანაშაულთა ჩადენაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ში დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ახალი დეფინიციით.<sup>27</sup>

<sup>26</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს მთავრობის წვლილი გენერალური მდივნის ანგარიშის მომზადებაში, რომელიც ეხება გენერალური ასამბლეის 2006 წლის 19 დეკემბრის A/61/149 რეზოლუციის იმპლემენტაციას და რომლის სახელწოდებაცაა: „რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის სრულად აღმოფხვრის გლობალური ძალისხმევა და დურბანის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის ყოველისმომცველი იმპლემენტაცია და აღსრულება“.

<sup>27</sup> იხ. supra სქოლიო 2, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის დეფინიციისათვის.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 411-ე მუხლი (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა) ასევე მოიცავს აპარტიდის დანაშაულს.<sup>28</sup>

## ბ. მე-4 მუხლი

81. იმ დანაშაულთა ჩამონათვალისათვის, რომლებშიც გათვალისწინებულია რასობრივი დისკრიმინაცია, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება, იხ. მე-15 და მე-17 პარაგრაფები ზემოთ.

82. 2008 წლის 1 აპრილს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს კონვენციას კიბერდანაშაულის შესახებ. კონვენცია წარმოადგენს დამატებით გარანტიას კომპიუტერული სისტემების მეშვეობით განხორციელებული რასობრივი და ქსენოფობიური ხასიათის მქონე აქტების კრიმინალიზაციასთან მიმართებით. ამჟამად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მუშაობენ აღნიშნული კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოზე.

## დ. მე-5 მუხლი

83. საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს შემდეგი ტიპის ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს:

(ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი, მე-3 მუხლი - „პარტიის შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს კანონის წინაშე პარტიების თანასწორობის პრინციპი;“

(ბ) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-4 (1) მუხლი - „ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.“

(გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1-ელი მუხლი - „პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები;“

(დ) შრომის კოდექსი, მე-2 (3) მუხლი - „შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო;“

(ე) მაუწყებლობის შესახებ კანონი, მე-16 მუხლი - „საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები. ასევე, პროგრამებში ასახოს

---

<sup>28</sup> სსკ-ის 411-ე (1) მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს, კერძოდ, აპარტიდი ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაჰუმანური მოქმედება იხდება თავისუფლების აღკვეთით ვადით 10-იდან 15 წლამდე.

საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.“ აღნიშნული კანონი, ასევე ავალდებულებს სათემო მაუწყებლობის ლიზენციის მფლობელებს, რომ უზრუნველყონ მათი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების აზრების გაშუქება. ამავე კანონის 33-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის არანაკლებ 25%-ისა გამოყენებულ უნდა იქნეს ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე სატელევიზიო პროგრამებისათვის.

(ვ) ზოგადი განათლების შესახებ კანონი, მე-13 (2 და 3) მუხლი - „დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია“ და „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება;“

(ზ) უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, მე-3 (1) მუხლი - „ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ნიშნით;

(თ) პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, მე-6 (1) მუხლი – “პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.”

(ი) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, მე-6 მუხლი – “არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო.”

(კ) კულტურის შესახებ კანონი, მე-6 მუხლი - „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა;“

(ლ) არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონი, მე-6 მუხლი (2) – “პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.”

(მ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, მე-5 (2) მუხლი - „სახელმწიფოს საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში გულისხმობს მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ქვეყანაში სიღარიბისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის;

(ნ) ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი, 32-ე მუხლი ადგენს არადისკრიმინაციულ ღონისძიებებს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებსა და საშუალებებთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობებისას.

(ო) თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონი; მე-3 მუხლი – კანონის მიზანია „სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა;“

(პ) ადვოკატთა შესახებ კანონი; მე-3 მუხლი ადგენს ადვოკატთა თანასწორობას და კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას;

(ჟ) საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, 38-ე მუხლი - „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად;“

(რ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი, მე-1 (2) მუხლი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია აკრძალულია და კანონით ისჯება;“<sup>29</sup>

(ს) კანონი პოლიციის შესახებ, მე-4 (2) მუხლი - „პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, ქონებრივი მდგომარეობისა, რასისა, სოციალური და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა;“

(ტ) პროფესიული განათლების შესახებ კანონი, მე-7 მუხლი - „ყველას აქვს უფლება, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.“

### **მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებით**

84. სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ვრცელდება ყველა მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში, 2006 წელს, საქართველოს მთავრობამ, შესაბამისი აქტის

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი ითვალისწინებს სანქციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ეროვნული კანონებით და საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული მათი უფლების განხორციელებისათვის უარის თქმისათვის მათი შეზღუდული უნარის საფუძველზე, რაც იწვევს მათი უფლების ხელყოფას.

საფუძველზე, შეიმუშავა სოციალური დახმარების შესახებ პროგრამა. პროგრამა უზრუნველყოფს სოციალურ დახმარებას დისკრიმინაციის გარეშე მიუხედავად რასობრივი, სექსუალური, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა.

## **მიგრაციის პოლიტიკა**

85. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, საერთაშორისო (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)), ასევე ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ცოტა ხნის წინ დაიწყო მუშაობა მიგრაციის მართვის პოლიტიკაზე. 2007 წელს სამინისტროსა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რათა ერთობლივად განხორციელდეს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამა AENEAS, რომლის მიზანს წარმოადგენს „საქართველოში (დაბრუნებულთა) რეინტეგრაციისათვის გრძელვადიანი მექანიზმების შექმნა“.

86. კონსულტაციები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დასრულდა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები დაექვემდებარა სამინისტროს. ამჟამად, საკონსულტაციო ცენტრები მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში. ამ ცენტრების მიზანია სოციალური ცნობიერების ამაღლება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და დაბრუნებულ მიგრანტთა ინტეგრაციის განმტკიცება თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში, ასევე, გამგზავრებამდე პოტენციურ მიგრანტთა კონსულტაცია იმ ქვეყნის თაობაზე, სადაც ისინი მიემგზავრებიან, მათი ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის თავიდან აცილება.

87. ევროკავშირის ინიციატივას „პარტნიორობა მობილურობისათვის“ დიდი მნიშვნელობა აქვს ლეგალური მიგრაციის განმტკიცებისა და უკანონო მიგრაციის თავიდან აცილებისათვის. პარტნიორობა მიზნად ისახავს ფართო, სტრუქტურირებულ და აქტიურ თანამშრომლობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიგრაციის სფეროში. იგი მოიცავს დიდი რაოდენობის თანამშრომლობის პროექტებს, რათა გაძლიერდეს საქართველოს პოტენციური მიგრაციის სფეროში ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად.

## **ნატურალიზაცია**

88. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გამარტივდა ნატურალიზაციის პროცედურა. აღსანიშნავია, რომ წინა ფორმულირების თანახმად, კანონი (26-ე მუხლი) მოქალაქეობის მისაღებად მოითხოვდა, რომ პირს მუდმივად ეცხოვრა საქართველოში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ცვლილებების შემდეგ, შეიცვალა პროცედურა უცხოელებისათვის, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებზე არიან დაქორწინებული.

89. საქართველოს მთავრობა აღნიშნავს, რომ 2009 წლის იანვრიდან, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები გადაეცა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.<sup>30</sup> ცოტა ხნის წინ, განცხადებების წარდგენსა და გადაწყვეტილების მიღების ვადები შემცირდა 6 თვიდან 3 თვემდე.

90. პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს (ორმაგი) მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო და მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.<sup>31</sup>

**საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ნატურალიზაციით**

2007	96
2008	141
2009	93
<b>სულ</b>	<b>330</b>

**საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება**

2007	5 563
2008	6 291
2009	3 756
<b>სულ</b>	<b>15 610</b>

**ე. მე-6 მუხლი**

91. ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ეფუძნება რასობრივ, რელიგიურ ან სხვა მოტივებს, არის სამართალდამცავი ორგანოების პრიორიტეტი საქართველოში. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გროვდება შინაგან საქმეთა და

<sup>30</sup> 23.01.2009 №16 ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 30 იანვრის №209 ბრძანებაში.

<sup>31</sup> „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლი.

იუსტიციის სამინისტროთა საინფორმაციო და ანალიტიკურ დეპარტამენტებში. საქართველოს მთავარი პროკურატურის აპარატში ადამიანის უფლებათა სამსახური ახორციელებს იმ საქმეთა მონიტორინგს, რომლებიც ეხება თანასწორობის დარღვევას, რასობრივ დისკრიმინაციას და რელიგიური უფლებების აღსრულებისათვის ხელის შეშლას, დევნასა და ჩარევას. რაც შეეხება რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს, 2007-2009 წლებში სამართალდამცავ ორგანოებს წარედგინათ ინფორმაცია სავარაუდო დანაშაულის 44 შემთხვევის შესახებ.

92. სსსკ-ს შესაბამისად, იმ დანაშაულების გამოძიება, რომელიც გათვალისწინებულია 142-ე მუხლით (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 142<sup>1</sup>-ე მუხლით (რასობრივი დისკრიმინაცია) ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ხოლო გამოძიების პროცედურული ზედამხედველობა კი საქართველოს მთავარი პროკურატურის აპარატის მიერ.

93. საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ჩადენილი დანაშაულების სწრაფი და ეფექტიანი გამოიების წარმოებას და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განახორციელა შესაბამისი ცვლილებები სსსკ-ში. სსსკ-ს 261-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთანავე, გამოძიებელი იწყებს წინასწარ მოკვლევას მისი კომპეტენციის ფარგლებში. წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, ცენტრალური ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან, საჯარო მოხელისგან, დეტექტივისაგან, დანაშაულის ჩამდენისაგან, მას მედიიდან, ან ინფორმაცია, რომელიც აღმოჩენილ იქნა გამოძიების პროცესში. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებსა და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, რომელიც განახორციელა საქართველოს მთავრობამ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რასობრივი მოტივაციის მქონე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

### 3. მე-7 მუხლი

#### განათლების პოლიტიკა

94. საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია ვერ განხორციელდება ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებით ყოველისმომცველი და არადისკრიმინაციული საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების გარეშე. გარდა ზოგადი განათლების პროგრამებისა, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული, განალებსა და მეცნიერების სამინისტრომ, პარტნიორებთან ერთად განახორციელა შემდეგი პროექტები:

(ა) ბავშვთა შემწყნარებლობის განათლების პროგრამა<sup>32</sup> განხორციელდა „გადაარჩინე ბავშვები“-სა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ. პროგრამის მიზანია განავითაროს შემწყნარებლობა, თანამშრომლობა და

<sup>32</sup> პროგრამა განხორციელდა 2002-2006 წლებში.

კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს ადამიანური ღირებულებების ჩამოყალიბებას ბავშვებში. პროგრამა გამიზნულია აკადემიური ინოვაციებისა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს პრაქტიკისათვის. იგი გათვლილია 9-11 წლის ასაკის ბავშვებისათვის (IV-V კლასები), მათი მასწავლებლების, მშობლებისა და მზრუნველებისათვის;

(ბ) სკოლის პარტნიორობის პროგრამა<sup>33</sup> მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და მასწავლებლების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას, ასევე ქართულ და არაქართულ სკოლებს შორის პარტნიორობის განვითარებას;

(გ) პროგრამა „მოდით, ვიცხოვროთ ერთად“ მხარდაჭერილი იყო ბრიტანეთის საბჭოს მიერ ევროპის საბჭოს დახმარებით. მისი მიზანია შემწყნარებლობისა და კულტურათაშორისი დიალოგის გაძლიერება ევროპაში. პროგრამის განმავლობაში ახალგაზრდებმა (მათ შორის იყვნენ ეთნიკური უმცირესობები საქართველოდან) მონაწილეობა მიიღეს სემინარებში, დისკუსიებსა და თამაშებში და გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, თუ როგორია ცხოვრობდე და იზრდებოდე კონფლიქტის და მისი შედეგების პირობებში. მათ ასევე შეიძინეს ახალი უნარ-ჩვევები მოლაპარაკებასა და მედიაციაში.

(დ) კულტურათაშორისი დიალოგი განათლების გზით არის ევროპის საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა და იგი ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის განვითარებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კულტურათაშორისი დიალოგის სფეროში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას. 2009 წელს, საქართველოში ჩატარდა მესამე საერთაშორისო სემინარი კულტურასა და რელიგიაზე: კრიტიკული მსოფლმხედველობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება სასწავლო გეგმების საშუალებით.

### **სასწავლო გარემოს გაუმჯობესება**

95. 2006 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „იაკობ გოგებაშვილის“ მეგობრობის ფარგლებში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას სკოლების აღდგენის გზით. 2009 წლის ბოლოს, აღდგენილ იქნა 60 სკოლა სამცხე-ჯავახეთში და 39 სკოლა ქვემო ქართლის რეგიონში. მეორე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაცაა „ირმის ნახტომი“, 120 აზერბაიჯანული და 140 სომხური სკოლა 1,299 და 1,015 კომპიუტერით აღიჭურვა.

### **კულტურა**

96. 2004 წლიდან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს „ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ცენტრების მხარდაჭერის პროგრამას“, რომლის მიზანია საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა, განვითარება და ხელშეწყობა და მათი შემდგომი ინტეგრაცია საქართველოს კულტურულ სივრცეში.

<sup>33</sup> პროგრამა განხორციელდა 2004-2007 წლებში.

97. პროექტი ხორციელდება სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლის, სსიპ მირზა-ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის, სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრის და სსიპ თბილისის აზერბაიჯანული თეატრის მიერ. აღნიშნული კულტურული ცენტრები ხელს უწყობენ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, კულტურათაშორისი ურთიერთობის განვითარებასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის გამოსატყვის უფლების დაცვას.

ამასთან, ქვემოთ მოცემული ცხრილი ახდენს სამოყვარულო თეატრების, ბიბლიოთეკებისა და კლუბების ილუსტრირებას, რომლებიც მუშაობენ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში.

	<i>მუსიკალური სკოლა</i>	<i>ხატვის სკოლა</i>	<i>ბიბლიოთეკა</i>	<i>საზოგადოებრივი კლუბი</i>
ყვარელი	1			
ახალქალაქი	1	1	2 სომხური	4 10 სომხური
ნინოწმინდა	1		18 სომხური	2 18 სომხური
მარნეული	1		11 აზერბაიჯანული 4 სომხური	4
წალკა	1		1 სომხური	1
გორი-ერედვი	1		5 ოსური	
გარდაბანი			1 აზერბაიჯანული 14 ერთობლივი	1
ბოლნისი			2 აზერბაიჯანული	
დმანისი			1 აზერბაიჯანული	

მედია

98. მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია პროგრამებში ასახოს ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება და ასევე გადასცეს პროგრამები უმცირესობათა ენებზე. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების ბიუჯეტის არანაკლებ 25%-ისა უნდა გამოყენებულ იქნეს პროგრამებისათვის ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე. აღსანიშნავია, რომ კვირაში ერთხელ საინფორმაციო გადაცემები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადის უმცირესობათა 5 ენაზე - აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ყოველკვირეული თოქ-შოუ „იტალიური ეზო“ მთლიანად ეძღვნება ეროვნულ უმცირესობებთან ინტეგრაციას და მასში განხილულია საკითხები დაწესებული ქალთა უფლებებიდან და უმაღლესი განათლებიდან ხელოვნებისა და მუსიკის სფეროების ჩათვლით. 2009 წლიდან, თოქ-შოუ გადაიცემა შეცვლილი ფორმატით და ახალი სახელწოდებით „ჩვენი ეზო“. 2008 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოამზადა ცხრა დოკუმენტური ფილმი ეროვნულ უმცირესობებზე, რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრები ცხრა (სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ბერძნები, ქურთები, ქისტები, იუდეველები, უკრაინელები, ოსები) ეროვნული უმცირესობის ამბავს. საზოგადოებრივი რადიოს ეთერით ასევე გადის ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებები ეროვნული უმცირესობათა ხუთ ენაზე – აფხაზურ, ოსურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. იგი ასევე გადასცემს ანალიტიკურ პროგრამებს რუსულ ენაზე, ყოველკვირეული საინფორმაციო რადიო ხიდს თბილისი-ბაქო და პროგრამას „ჩვენი საქართველო“, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ისტორიაზე, მათ ტრადიციებსა და კულტურაზე. 2010 წლის იანვრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეიქმნა სატელევიზიო არხი, „პირველი კავკასიური“ რუსულენოვანი მოსახლეობისათვის, რომელიც ფარავს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ კავკასიას. არხი გადასცემს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობაზე, მათ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე, ასევე მშვიდობის ხელშეწყობისა და რეგიონში განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე.

კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს ბეჭდვითი მედიის განვითარებას უმცირესობათა ენებზე სომხური გაზეთ „ვრასტანის“, აზერბაიჯანული გაზეთ „გურჯისტანის“ და რუსული გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ გამოცემით.

99. საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა, ადგილობრივი მაუწყებლები გადასცემენ პროგრამებს უმცირესობათა ენებზე. მაგალითად, ტვ სპექტრი, რომელიც გადაიცემა რუსულ და სომხურ ენებზე, ფარავს ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს. ფარვანა ტვ და ატვ-12 გადაიცემა სომხურ ენაზე. მარნეული ტვ ხელმისაწვდომია ქვემო ქართლში და იგი გადაიცემა ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე. ტვ ალანია გადაიცემა რუსულ ენაზე და ფარავს თბილისსა და სხვა რეგიონებს, მათ შორის ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს.

100. 2009 წლის მარტში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. კოდექსი ეხება მაუწყებელთა მიერ მრავალფეროვნების,

თანასწორობისა და შემწყნარებლობის დაცვის საკითხებს და პირდაპირ ადგენს, რომ მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს არასწორი ან შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, რომელიც ხელს უწყობს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას; აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა ან რელიგიური მრწამსი ან გააკეთოს არასათანადო განცხადებები, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს დისკრიმინაციას ან ძალადობას. ამასთან, 2010 წლის 1 იანვარიდან, მედიის განვითარების ფონდი ახორციელებს მონიტორინგს ქართულენოვან მედიაში ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების გაშუქებაზე. პროექტი ხორციელდება UNAG-ისა<sup>34</sup> და EPF-ის<sup>35</sup> პროგრამის - „ეროვნული ინტეგრაცია და შემწყნარებლობა საქართველოში“ – ფარგლებში, რომელსაც ფინანსურად მხარს უჭერს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

101. კიბერსივრცეში [www.diversity.ge](http://www.diversity.ge) არის პირველი ელექტრონული ვებ-გვერდი საქართველოში, რომელიც სრულად ეთმობა და ფარავს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. ვებ-გვერდი სამენოვანია და იგი ხელმისაწვდომია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მისი მიზანია ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ პროცესებზე, მათ ისტორიასა და კულტურაზე, ცნობიერების ამაღლება, ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობა, პროცესებში ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობის ხელშეწყობა.

## ზ. 22-ე მუხლი

102. საქართველოს მთავრობა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტს აცნობებს, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს,<sup>36</sup> წარადგინა სახელმწიფოთაშორისი განაცხადი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გაეროს მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ 1965 წლის საერთაშორისო კონვენციის დარღვევაზე.

<sup>34</sup> საქართველოში გაეროს ასოციაცია.

<sup>35</sup> ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

<sup>36</sup> იხ. <http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=4d&case=140&code=GR&p3=6>.